პიროტექნიკური ნაწარმის ექსპორტის ნებართვა

პიროტექნიკური ნაწარმის ექსპორტის ნებართვის გამცემი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ „სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო“. სააგენტოს მიერ პიროტექნიკური ნაწარმის ექსპორტის ნებართვა გაიცემა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, ნებართვის მაძიებელს კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე, პიროტექნიკური ნაწარმის ექსპორტის ნებართვა ენიჭება.

პიროტექნიკური ნაწარმის ექსპორტის ნებართვის მაძიებელი სააგენტოს წარუდგენს წერილობით განცხადებას. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი წესით. განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ნებართვის მაძიებელმა პიროტექნიკური ნაწარმის ექსპორტის ნებართვის მისაღებად სააგენტოს დამატებით უნდა წარუდგინოს:

- ✓ კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის, ასევე ბინადრობის (თუ პირი არ არის საქართველოს მოქალაქე) დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
- ✓ პიროტექნიკური ნაწარმის აღწერილობა სახელწოდების, რაოდენობის და შესაბამისი კატეგორიის მითითებით, ასევე ინფორმაცია მწარმოებლის ან/და რეალიზატორის შესახებ;
- ✓ სახიფათო ტვირთის გადაზიდვისთვის განკუთვნილი სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ სანებართვო ქმედების შესაბამისი ხელშეკრულება/განზრახულობათა ოქმი ან ასლი;
- ✓ სანებართვო მოსაკრებლის, ასევე „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, ნებართვის გაცემის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთები.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით, პიროტექნიკური ნაწარმის ექსპორტის ნებართვისთვის დადგენილი სანებართვო მოსაკრებელი განსაზღვრულია 200 ლარის ოდენობით.

ნორმატიული აქტები:

- ✓ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“

https://www.matsne.gov.ge/document/view/26824?publication=120

- ✓ საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“

https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=93

- ✓ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 მარტის N94 დადგენილება „პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტის, ექსპორტის, წარმოების ან/და რეალიზაციის ნებართვის/ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“

https://matsne.gov.ge/ka/document/view/6460264?publication=0